ზაალ გოგენია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება და მისი ლეგიტიმაციის მცდელობა ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში

1936 წლის 17 ივლისს მაროკოს ესპანურ ნაწილში დაწყებული ამბოხებით ესპანეთი სამოქალაქო ომის ალში გაეხვია. ეს იყო ფართო კონსპირაციის ფინალური აქტი, რომელიც რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან (1931 წლის 14 აპრილი) იკვეთებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამბოხება კარგად იყო მომზადებული, მისი სინქრონიზაცია მაინც ვერ მოხერხდა. მაროკოში ის 17 ივლისს, ხოლო საკუთრივ ესპანეთში 18 ივლისს დაიწყო. სამხედრო აჯანყების ორგანიზატორები ვარაუდობდნენ სწრაფ წარმატებას ესპანეთისთვის ჩვეული "პრონუნსიამენტოს" ფარგლებში, მაგრამ აჯანყების პირველივე დღეს აშკარა გახდა, რომ ჩაფიქრებული გეგმა ჩავარდა და პროცესები გაჭიანურებული ომისკენ მიდიოდა. სამწლიანმა სამოქალაქო ომმა დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოუტანა ესპანეთს, ის ფრანსისკო ფრანკოს ავტორიტარული რეჟიმის დამყარებით დასრულდა.

ფრანკოს რეჟიმის პირველ პერიოდში 1936 წლის 18 ივლისის სახელმწიფო გადატრიალებისა და მისი შედეგების ლეგიტიმაცია ესპანელი იურისტების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. ფრანკისტი იურისტები, ხუთი მიმართულების ფარგლებში, ცდილობდნენ თავიანთი არგუმენტებით გაემართლებინათ გადატრიალების კანონიერება. პირველ ყოვლისა და რაც მთავარია, თვალებში ნაცრის შეყრით მათ სურდათ ეჩვენებინათ სახალხო ფრონტის მთავრობის არალეგიტიმური წარმომავლობა და მისი უფლებამოსილების განხორციელების არაკანონიერება, შემდეგ პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების განხილვის ფონზე დაეხასიათებინათ აჯანყება, როგორც ტირანული ხელისუფლების პირისპირ წინააღმდეგობის კანონიერი აქტი; მსგავს წესრიგში, მაგრამ ამჯერად ადმინისტრაციული და სამხედრო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ დაესაბუთებინათ არმიის მიერ ერის დაცვის უშუალო ვალდებულება მოძალადე მთავრობის მხრიდან თავდასხმის პირობებში; ასევე მიმართავდნენ სისხლის სამართლის კატეგორიებს, რათა სამხედრო აჯანყებისთვის მიეცათ კა-

ნონიერი თავდაცვის ტიპური შემთხვევის კვალიფიკაცია, რომელიც ათავისუფლებს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან; ბოლო იყო საერთაშორისო სამართლის მიმართულება.

1938 წელს ფრანკოს ხელისუფლების იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, რამონ სერანო სუნიერის ბრძანებით (Boletines oficiales del estado de 22 deciembre de 1938 y 16 febrero de 1939) შეიქმნა კომისია „1936 წლის 18 ივლისში ესპანეთის რესპუბლიკის მოქმედი მთავრობის არაკანონიერების დამტკიცების შესახებ". აშკარა პროპაგანდისტული ხასიათიდან გამომდინარე, კომისიის მთავარი ამოცანა იყო, გაექარწყლებინა არაიურიდიული და ბუნდოვანი მტკიცებულებები, რომელთაც „მარქსისტული ესპანეთი ახორციელებდა ნაციონალისტური ესპანეთის წინააღმდეგ". კომისიის წევრებს ყველაზე უტყუარი მტკიცებულებების მოხმობით მთელი მსოფლიოსთვის უნდა დაემტკიცებინათ უმნიშვნელოვანესი თეზისი: რესპუბლიკური მთავრობა არ იყო ლეგიტიმური და მის წინააღმდეგ გამოსვლით არმიას არ განუხორციელებია „არც ხელისუფლების და არც კანონის წინააღმდეგ აჯანყების აქტი" (Dictamen, 1939, p. 9).

სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტის შესამუშავებლად პოლიტიკოსებისა და იურისტებისგან ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დონ ილდეფონსო ბელონ გომესი. კომისიის წევრები იყვნენ ცნობილი იურისტები: ადოლფო პინს ი უმბერტი, ხოაკინ ფერნანდეს პრიდა, ანტონიო გოიკოეჩეა ი კონსუიუელა, ფედერიკო კასტეხონი, ხოსე მარია ტრას დე ბესი, მანუელ ტორეს ლოპესი, ვენსესლაო გონსალეს ოლივარესი, ხოსე გასკონ დე მარინი და ა.შ. (ჯამში 22 წევრი). კომისიას დასკვნა უნდა მოემზადებინა 1939 წლის 30 იანვრისთვის[1].

„გამარჯვების წელს", მითითებულ დროს გამოქვეყნდა „ანგარიში", ე.წ. „Dictamen", თავისი ვრცელი დამატებებით, რომლებშიც თითქოს მოცემული იყო უტყუარი მტკიცებულებები. დოკუმენტის ტექსტი ჟურნალ „Revista de Trabajo"-ს მიერ კვალიფიცირებულ იქნა, როგორც „ესპანეთის ნაციონალური რევოლუციის თეორი წიგნი", რომელიც განკუთვნილი იყო „ცუდად ინფორმირებულთათვის ჯანსაღი განზრახვით", ძირითადად უცხოელებისთვის (Martin S., 2015, p. 399).

აღნიშნული დოკუმენტი შედგება ოთხი თავისგან. პირველ თავში მოცემულია საკითხის წინაისტორია და ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს რესპუბლიკის გამოცხადებიდან ასტურიის 1934 წლის ოქტომბრის „სოციალურ რევოლუციამდე" (გვერდები 21-29); მეორე თავში დეტალურადაა განხილული 1936 წლის არჩევნები და სახალხო ფრონტის მთავრობის არალეგიტიმური ხასიათი (გვერდები 31-51); მესამე (გვერდები 53-

[1] დეკემბრის ბრძანებაში მითითებული იყო 30 იანვარი, ხოლო თებერვლის ბრძანებაში ვადამ გადაიწია 30 აპრილამდე.

75) და მეოთხე (გვერდები 77-101) თავებში ვრცლადაა საუბარი მთავრობის უკანონო ქმედებებსა და „დანაშაულობებზე“.

კომისიის წევრების მიხედვით, არათუ სახალხო ფრონტის მთავრობა, არამედ თვითონ რესპუბლიკის წარმომავლობა იყო იურიდიულად არალეგიტიმური, რადგან ემყარებოდა არჩევნების შედეგებს, რომელმაც სინამდვილეში გამარჯვება მოუტანა მონარქისტულ პარტიებს. მისი გამოცხადება, გარდა იმისა, რომ შეცვალა რეჟიმი, „ყოველგვარი კონსტიტუციური ჩარჩოს მიღმა“ მოხდა (Dictamen, 1939, p. 21), თვითონ კონსტიტუციას, როგორც სადავო კორტესების მუშაობის შედეგს, აკლდა „სახელმწიფოს ფუნდამენტური სტატუსის“ ატრიბუტები, ვინაიდან მოკლებული იყო ესპანელების საერთო თანხმობას (Dictamen, 1939, p. 23).

დემოკრატიულ რესპუბლიკას ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ის არ იყო ლიბერალური, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც შეძლებდა კანონის უზენაესობის, „თავისუფლების, კერძო საკუთრების და მოქალაქეთა უმთავრესი უფლებების“ უზრუნველყოფას, გარდა ამისა, მან ჩაიდინა სამარცხვინო საქციელი კატალონიის ავტონომიის აღიარებით. ეს უკანასკნელი დახასიათებული იყო, როგორც „სრულიად ეროვნული ისტორიის უარყოფა“ (Dictamen, 1939, p. 24).

„ანგარიშის” მიხედვით, თებერვლის არჩევნები ჩატარდა დაშინებისა და იძულების ატმოსფეროში, რასაც ტონს აძლევდნენ მემარცხენე რადიკალები (Dictamen, 1939, p.33). დაწვრილებით საუბრობენ რა დარღვევებსა და გაყალბებულ არჩევნებზე, ავტორები ასკვნიან შემდეგს: ეს იყო კონსტიტუციის 52-ე მუხლის დარღვევა, სადაც სიტყვასიტყვით წერია: „დეპუტატთა კრება შედგება არჩეული წარმომადგენლებისგან საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით“ (Dictamen, 1939, p.45). საინტერესოა, რომ ავტორები ამას ასკვნიან სწორედ იმ კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც, მათი აზრით, მოკლებული იყო კანონიერ საფუძვლებს.

ახალმა მთავრობამ მალე გაატარა „სამარცხვინო“ ღონისძიებები: ამნისტია იმათ მიმართ, ვინც ჩაიდინა პოლიტიკური და სოციალური დანაშაულებები, ანუ ვინც მონაწილეობდა 1934 წლის ოქტომბრის რევოლუციაში. ამნისტია მიღებულ იქნა სამთავრობო დეკრეტით, მაშინ როცა კონსტიტუციის 102-ე მუხლი ითვალისწინებდა პარლამენტის თანხმობას ამ ნაბიჯზე (Dictamen, 1939, p.53). გარდა ამისა, პოლიტიკური მიზეზით დათხოვნილი მუშების ე.წ „რეადმისია“ ასევე დეკრეტით იყო დამტკიცებული, მაშინ როცა ამისთვის საჭირო იყო დამსაქმებლის დასტური (Dictamen, 1939, pp. 54-55).

მთავრობის თითქოსდა უკანონო ქმედებებს შორის ჩამოთვლილი იყო ყველაზე გამოკვეთილი საკანონმდებლო ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო პირველი ორწლედის რეფორმების გაგრძელება, რაც შეწყვეტილ იქნა 1933 წლის ბოლოს მემარჯვნეების ხელისუფლებაში მოსვლით.

ეს საერთო დანაშაულობები გააღრმავა ძალადობამ, გაჩაღებულმა სახალხო ფრონტის მთავრობის მიერ უკვე გამარჯვების პირველივე დღიდან. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ემბლემატურ შემთხვევად მიჩნეულია კალვო სოტელოს მკვლელობა, რომელიც, „ანგარიშის“ ავტორების მიხედვით, დაგეგმილ იქნა ხელისუფლების მიერ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიტიკური ძალადობა გამოვიდა წმინდა ქაოსის ჩარჩოდან და გახდა სოციალური რევოლუციის მოსამზადებელი პროცესის ნაწილი (რომელიც ნიშნავდა ქვეყნის დათმობას უცხო სახელმწიფოსთვის). ამრიგად, ჩადენილი დანაშაულობები არ ყოფილა იზოლირებული ინციდენტები, არამედ იყო „სისტემური“ ხასიათისა. გამომდინარე აქედან, დამნაშავე მთავრობის წინააღმდეგ მხოლოდ არმიას შეეძლო მოქმედება (Dictamen, 1939, pp. 102-104).

ამგვარად, „ანგარიში“ წმინდა პროპაგანდისტული დოკუმენტი იყო და რეალური კვლევა-ძიება არ შედიოდა მის ამოცანებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერი ისე რომ ყოფილიყო, როგორც ამას დოკუმენტის ავტორები ამტკიცებდნენ, არცერთი ფაქტი თუ ნარატივი არცერთ ასპექტში არ ამართლებს იმ ბოროტებას, რაც მოჰყვა 18 ივლისის აჯანყებას.

კანონიერი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობის უფლება (Ius Resistendi) იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა და ყველაზე გავრცელებული ვერსია გადატრიალების გასამართლებლად. მიმართავდნენ რა დესპოტიზმის მიმართ წინააღმდეგობის აქტის იდეას, ეყრდნობოდნენ სქოლასტიკოსებს, თუმცა ასევე აქტიურად იყენებდნენ რევოლუციურ დოქტრინებს. პირველი შემთხვევის კარგი მაგალითია საბინო ალვარეს გენდინ ი ბლანკო ოვიედოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრიდან (ოვიედოს უნივერსიტეტის რექტორი 1937-1951 წწ) და მისი ბროშურა „თეორია საჯარო ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. ესპანეთის მაგალითი“ (1939)[1]. წინააღმდეგობის უფლება, როგორც გადატრიალების გამართლების არგუმენტი, კონკრეტულ როლს ასრულებდა: სამხედრო აჯანყების გამართლება ერთდროულად იურიდიული და ტრადიციული პრინციპებიდან გამომდინარე, ანუ წინააღმდეგობის უფლება ჩაგვრაზე, რომელიც მაშინათვე გამოავლინა რესპუბლიკური მთავრობის ტირანულმა ხასიათმა გარდა იმისა, რომ იყო ხალხის ბუნებრივი უფლება (უნივერსალური უფლება), ის გამომდინარეობდა ჭეშმარიტად კათოლიკე ესპანელების ტრადიციული ბუნებიდან.

სხვადასხვა თეოლოგიური და იურიდიული დოქტრინის პრეზენტაცია ვერ გახდა, ასე ვთქვათ, „გარე მოხმარებისა“, დამყარებული იმ არგუმენტებზე, რომ წინააღმდეგობის უფლება უნივერსალური უფლებაა ყველასათვის. მან უფრო შეასრულა „შიდა გამართლების“ ფუნქცია, დამყარებული იდენტობაზე, რომელიც უნდა დაცულიყო. ალვა-

[1] Álvares Gendín S., Teoría sobre la rsistencia al poder público. El caso español, Oviedo, 1939

რეს გენდინის მიერ თომა აკვინელის, ფრანსისკო დე ვიტორიას, დომინგო დე სოტოს, ფრანსისკო სუარესის ან ვასკეს დე მენჩაკას მოხმობა არ ვარაუდობდა წმინდა დოქტრინალური ან მორალური ლეგიტიმაციის რეალიზებას, არამედ ამ ავტორებისა და მათი იდეების გამოყენებით იგი გამოხატავდა კათოლიკე ესპანელების იდენტურობის ატრიბუტებს (Martín S., 2015, p. 403).

შუა საუკუნებისა და ახალი დროის იურიდიულ-პოლიტიკური დოქტრინები ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის შესახებ, კონცეფცია „*traslatio imperii*" და მთავრობის არსებითი მიზანი – დაიცვას საყოველთაო კეთილდღეობა – ემსახურებოდა იმ იდეის მტკიცებას, რომ „დამონებულ, დატერორებულ ხალხს აქვს კანონიერი უფლება, აჯანყდეს მთავრობის წინააღმდეგ, მით უმეტეს, თუ ხელმძღვანელობს წმიდათაწმიდა რელიგიით" (Martín S., 2015, p. 403).

კანონიერი წინააღმდეგობისთვის აუცილებელი იყო რამდენიმე პირობის თანხვედრა: პირველი, ყველა მშვიდობიანი და სამართლებრივი საშუალება უნდა იყოს ამოწურული, მეორე, იყოს წარმატების მაღალი ალბათობა და, მესამე, ზომა უნდა იყოს პროპორციული იმ ტირანიის მიერ მიყენებული კატასტროფისა, რომელიც უნდა ამოიძირკვოს, „აჯანყებით მიყენებული ზიანი არ უნდა იყოს მჩაგვრელის ბოროტმოქმედებაზე უარესი". აშკარაა, რომ ალვარეს გენდინისთვის პირველი ორი პირობა 1936 წლის 18 ივლისს სახეზე იყო. დიდი იყო „წარმატების ალბათობა" და, მისი რწმენით, აჯანყება უფლებაზე მეტად იყო კოლექტიური ვალდებულება. შემდგომი შედეგებიდან გამომდინარე, ნაკლებად ჩანდა მისი პროპორციულობა, მით უმეტეს, იმ რისკის გათვალისწინებით, რომ „ხალხს, რომელიც იტანჯება ტირანიით, შეიძლება მეტი ზიანი მიადგეს აჯანყებით, ვიდრე თვითონ ტირანიით", თუმცა უბრალო „პერსპექტივა კომუნიზმში გადაშვებისა" უკვე ტერორს აქცევდა ბევრად საშიშად, ვიდრე ის, რაც ომმა მოიტანა. ამ შემთხვევაში მსხვერპლი ამად ღირდა (Martín S., 2015, p. 404).

კანონიერი წინააღმდეგობის ჩარჩოებში სხვა ავტორებმა მიმართეს რევოლუციის თეორიას, ასეთია იგნასიო მარია დე ლოხენდიო, სევილიის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის პროფესორი. ეს ორი „მიმართულება" ემთხვეოდა ერთმანეთს ფუნდამენტურ საკითხში: მთლიანობაში მიეცეს ხალხს უფლება, ჩამოაგდოს მთავრობა, რომელიც უკანონოდ გადაიქცა, მაგრამ თვალშისაცემი განსხვავებაა ის, რომ პირველ შემთხვევაში თუ ინსპირაციის წყარო იყო სქოლასტიკა, მეორესთან ამ როლს ასრულებდა კონსერვატიული რევოლუცია. ამ შემთხვევში საკითხი ჩაჯდა ისტორიის ფოლოსოფიის ჩარჩოებში და უკან გადაწია საკითხი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესახებ; აჯანყების უფლება უკვე არ აღიქმებოდა, როგორც ეთიკური და მორალური ვალდებულება, არამედ როგორც „ბუნებრივი ფაქტი", გამოწვეული აუცილებლობით.

ლოხენდიოს თეორიით, რესპუბლიკის პრობლემა სტრუქტურული ხასიათისაა და დაკავშირებულია ე.წ. „დოგმატურ აბსოლუტიზმთან", ანუ „პოლიტიკურ (კონსტიტუცი-

ურ) დოგმატიზმთან“, რომელიც მიწიერ პრინციპებს ანიჭებს მაღალ ფასეულობებს ოფიციალური, წერილობითი დოკუმენტის გზით. რეალურად, ამ „პოლიტიკურმა სახარებამ“, რომელიც პრეტენზიას აცხადებს – იყოს კონსტიტუცია, დაასრულა „მიწიერი მისიის“ რეალიზება: ხელისუფლების დაცვა სახელმწიფო იძულების გზით. ამან კონსტიტუციურ ევროპაში გამოიწვია ორი შედეგი: „ამბიციური და ეგოისტური სისასტიკე“ და „ხალხის უკმაყოფილება და ზიზღი“. რეაქცია კი ორივეზე იყო „რევოლუციის უფლება“ (De Lojendio M., 1941, pp. 19-21, 24, 35)

რევოლუციის უფლება წარმოიშობა არა იმისთვის, რომ პასუხი გასცეს უკანონო ხელისუფლებას, არამედ ერთგვარ ჩარჩოში მოაქციოს „ისტორიულ-ბუნებრივი ნაკადი“, რომელიც წინააღმდეგობას აწყდება უკვე „კონსტიტუციური დოგმატიკის“ მხრიდან. ამიტომ „რევოლუციის ფენომენი“ უნდა იქნეს განხილული, როგორც ბუნებრივი ფაქტი, მარკირებული აუცილებლობით და როგორც ისტორიის მექანიზმის ნაწილი, რამდენადაც ის შეადგენს ევოლუციისა და ისტორიის განგრძობადობის გარდაუვალ კომპონენტს. დამჭკნარი პატრიოტიზმი, მიძინებული ღირსება და უცხოელთა მოწყალების შემყურე ქვეყანა – ასეთი იყო კონსტიტუციური პრინციპების აბსოლუტიზმით გამოწვეული მდგომარეობა, რომლის გამოსწორება მხოლოდ რევოლუციით იყო შესაძლებელი – ეროვნული რევოლუციით, სადაც მთავარი შემოქმედი არის ხალხი და რომელიც განსხვავდება ნებისმიერი კლასობრივი რევოლუციისგან (De Lojendio M., 1941, pp. 112, 115-117).

კანონიერი თავდაცვა. სისხლის სამართლის ხაზით, აჯანყება და მასთან დაკავშირებული დანაშაულობები გამართლებული იყო ისეთი ფაქტორებით, რომლებიც გამორიცხავენ პასუხისმგებლობას ან ამსუბუქებენ მას. დიდი ძალისხმევა ამ საქმეში ჩადო ისაიას სანჩეს ტეხერინამ სალამანკის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრიდან. მისი ამოცანა იყო, წარმოეჩინა „ეროვნული აჯანყება“, როგორც კანონიერი თავდაცვის უფლების კოლექტიური აღსრულების ნათელი მაგალითი. 1940-1941 წლების სასწავლო კურსის შესავალ სიტყვაში ავტორი საუბრობდა კანონიერი თავდაცვის თეორიულ და სამართლებრივ ასპექტებზე და ამტკიცებდა, რომ 1936 წლის გაზაფხულზე არსებობდა ყველა წინაპირობა, რომელიც კანონიერს ხდიდა მისთვის მიემართათ. ავტორი გამოყოფს სამ წინაპირობას, ესენია: 1) უკანონო აგრესია, 2) მისი ხელის შეშლის ან მოგერიების გონივრული აუცილებლობა, 3) თავდამცველის მხრიდან პროვოკაციის არარსებობა (Tejerina Sánchez I., 1940 pp. 10-12). პირველი წინაპირობა, ავტორის აზრით, იყო ფუნდამენტური და მის გარეშე შეუძლებელია საუბარი კანონიერ თავდაცვაზე. შეიძლება აკლდეს ერთ-ერთი ან ორი დანარჩენი პირობა და გვექნება არასრული კანონიერი თავდაცვის შემთხვევა, მაგრამ თუ არ იქნება უკანონო აგრესიის წინაპირობა, არ იარსებებს კანონიერი თავდაცვა არცერთი ფორმით“ (Tejerina Sánchez I., 1940, p. 10). იმისთვის, რომ აგრესია ჩაითვალოს უკანონოდ, ის უნდა იყოს მიმდინარე ან მოსალოდ-

ნელი (Actual o Inminente), არ შეიძლება წარსულში დასრულებული აგრესიის მიმართ თავდაცვის განხორციელება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება შურისძიებასთან და ა.შ. ავტორს აქვე მოჰყავს ადგილები ალფონსო X-ის „Siete Partida"-დან. მეორე წინაპირობა არის ის, რომ თავდაცვა უნდა იყოს პროპორციული და გარდაუვალი. ამდენად, ავტორისთვის აჯანყება წარმოადგენდა ყველაზე ადეკვატურ პასუხს, რათა მოეგერიებინა „უკანონო აგრესია", რომლითაც იტანჯებოდა ქვეყანა.

მიუხედავად სამხედრო აჯანყების ვირულენტური ხასიათისა, ის იყო პროპორციული ზომა. სახეზე იყო „აგრესია ესპანელების სიცოცხლის მიმართ", უფრო მეტი, მაშინ აგრესიის ობიექტი იყო არა მხოლოდ სიცოცხლე და კერძო საკუთრება, არამედ უფრო ღრმა და სერიოზული რამ: „ღირსება, რელიგიური, პატრიოტული გრძნობები – ყველაფერი, რაც შეადგენს სულიერ მხარეს და ამშვენებს ადამიანის პიროვნებას", და ეს აგრესია ხდებოდა ხელისუფლების მხრიდან პასიურობითა და თანხმობით (Tejerina Sánchez I., 1940, p. 13). საუბრობს რა ხელისუფლების პასიურობაზე, დანაშაულზე ქმედებით თუ უმოქმედობით, ავტორს მაგალითად მოჰყავს დედა, რომელიც მიატოვებს შვილს საჭირო ზრუნვის გარეშე. „ხელისუფლების ვალია დადგეს კანონის გვერდით და დაიცვას თავისი ქვეშევრდომების სასიცოცხლო და ეროვნული ინტერესები, თუ არ მოქმედებს ამ ფორმით, ის არ ასრულებს თავის მოვალეობებს" (Tejerina Sánchez I., 1940, p. 14).

„ამბოხება", გარდა იმისა, რომ იყო პროპორციული, იყო ასევე აუცილებელი, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლებოდა პრობლემების მოგვარება. ესპანელების უმრავლესობას სურდა მოეძებნა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზები აგრესიის ასალაგმად, თუმცა ისმის კითხვები: სად იყო ამის შესაძლებლობა? ვის ხელში იყო სამართალი? სანჩეს ტეხერინას სიტყვებით, თემიდა აქციეს საწყალ მეძავად (Tejerina Sánchez I., 1940, p. 17). ამდენად, სამხედროების მიერ მიღებული ზომები იყო სავსებით ადეკვატური და პროპორციული.

ნაციონალური ესპანეთის მხრიდან პროვოკაციის არარსებობაზე საუბრისას, ავტორის სიტყვებით, „ხალხს ძირითადად სურდა მშვიდობა, ეს უდავოა... თუმცა იყვნენ ცუდი ესპანელებიც – გაუცხოებულები, ანტიპატრიოტები, მასონები, რომლებსაც ყველანაირად სურდათ ომი" (Tejerina Sánchez I., 1940, p. 22)

სანჩეს ტეხერინა პოულობდა მსგავსებებს კანონიერი თავდაცვის განხორციელებასა და იმას შორის, რაც მოხდა 18 ივლისის შემდეგ, თუმცა აშკარა განსხვავებასაც ვერ უვლის გვერდს. არმიის მეთაურობით თავდაცვის აქტის თავისებურება მის კოლექტიურ ხასიათში გამოიხატა, მაშინ როცა სისხლის სამართალში კანონიერი თავდაცვა გულისხმობს ინდივიდუალურ აქციას. რაც მოხდა სამხედრო გადატრიალებით, შეიძლება შეფასდეს, როგორც აღნიშნული უფლების კოლექტიური განხორციელება.

ჯარი – ერის გადამრჩენი. გადატრიალების გამართლების შემდეგი საშუალება ეფუძნებოდა არმიის იურიდიულ სტატუსს და მის მოვალეობებს. მისი ავტორია ხაიმე მასავეუ, რომელიც სამხედრო ორგანიზმს ორგვარი პოზიციიდან განიხილავდა, დაკავშირებულს როგორც ერთან, ისე სახელმწიფოსთან. ეს ამბივალენტურობა აისახება ცალკეულ რიგით ჯარისკაცზე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოსთან „სამართლებრივი ტიპის“ კავშირით, მაგრამ ერთან მას უფრო ძლიერი „მორალური ხასიათის“ კავშირები აქვს. ნორმალურ პერიოდში ეროვნულობასა და სახელმწიფოებრივ ინსტიტუცინალიოზაციას შორის ეს დუალიზმი შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ როცა წარმოიშობა რადიკალური დისოციაცია ორ პოლუსს შორის, არმიას სერიოზული დილემის წინაშე აყენებს: ემსახუროს სახელმწიფოს თუ ერს? მასავეუს მტკიცებით, მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ესპანეთში 1936 წელს.

ამ არჩევანის წინაშე უპირატესობა აშკარაა. ამისთვის საკმარისია განისაზღვროს იერარქია სახელმწიფოსა და ერს შორის. ეს უკანასკნელი შეესაბამება „ბუნებრივ სოციალურ არსს“, მაშინ როცა სახელმწიფო შეადგენს „პოლიტიკურ სუპერფეტაციას“. პრიორიტეტი არის აშკარა: ერთი არის ბუნებრივი, მეორე – ხელოვნური. ერთი არის სოციალური ფიზიოლოგიის მქონე, მეორეს შეუძლია გადაგვარდეს „ტერატოლოგიურ დეფორმაციად“ თუ ის შეეწინააღმდეგება ეროვნულ ფორმას. ამიტომ ეჭვს არ იწვევს, რომ დილემის შემთხვევაში ჯარისკაცმა, რომელიც ფიცს დებს დაიცვას ერი, უნდა გააკეთოს ეს, თუ აუცილებელია, თუნდაც სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოვიდეს“ და მხოლოდ ამ დროს ის იქცევა „სამშობლოს ნამდვილ გადამრჩენად“ (Masaveu J., 1942, pp. 35-38). ეს პოსტულატები კვლავ მიდის რესპუბლიკური მთავრობის არალეგიტიმურობის არგუმენტებამდე. ასეთი იყო პირობები, რომლებმაც სახელმწიფო დააპირისპირა ერთან. ამ კონტექსტში მასავეუ გამოყოფს ორ მომენტს: პირველი, მთავრობამ შებოჭა სახალხო ხელისუფლება შიშველი ძალით და, მეორე, მთავრობამ გამოავლინა ერთგვარი ტოლერანტობა „სოციალური ანარქისტული რევოლუციის მიმართ“, რომელიც მზადდებოდა. ეს იყო „რეგრესული ხასიათის“ რევოლუცია, რადგან ეფუძნებოდა „ინსტინქტებს“. მთავრობის წევრების ამ გადახრამ და მათმა პასიურობამ მოსალოდნელი კომუნისტური რევოლუციის მიმართ, ფაქტობრივად, გამოიწვია ის, რომ „სახელმწიფომ დაკარგა სახე და მოხდა მისი მეტამორფოზა ანტისახელმწიფოდ“ ამ გარემოებების პირისპირ მოხსნილ იქნა ყოველგვარი დილემა და დარჩა მხოლოდ „გარდაუვალი ვალდებულება“ „ეროვნული სულის“ გადასარჩენად (Martín S., 2015, p. 407).

აჯანყების საერთაშორისო კანონიერება. ლეგიტიმაციის სხვა იურიდიული სფერო ომის მსვლელობისას და შედეგის დადგომისას იყო საერთაშორისო სამართალი. ძირითადი ამოცანები იყო მეომარ მხარედ აღიარების საკითხები, რესპუბლიკის სასარგებლოდ უცხოური ჩარევის დაგმობა, მაშინ როცა იტალიურ და გერმანულ დახმარებასთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებდნენ. შემდეგ, უკვე ომის დასრულებისთვის ცდი-

ლობდნენ აჯანყებულთა ადმინისტრაციის ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ ლეგიტიმურ მთავრობად ცნობას, რომელმაც სრულად ჩაანაცვლა დამარცხებული რესპუბლიკური მთავრობა, თუმცა არ გამხდარა მისი მემკვიდრე საერთაშორისო ვალდებულებებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ხოსე დე იანგუას მესია და პედრო კორტინა მაური (რომელიც იყო უკანასკნელი საგარეო საქმეთა მინისტრი დიქტატურისა).

თუ პირველი ძირითადად მეომარ მხარედ გამოცხადების საკითხებზე იყო ორიენტირებული, კორტინას თეზისი იყო შემდეგი: როდესაც თემი, საზოგადოება, გამოსული იარაღით, სტაბილურად დაფუძნდება ტერიტორიაზე, დაიმორჩილებს უსიტყვოდ ამ ტერიტორიის მოსახლეობას და დაამყარებს ახალ ინსტიტუციურ წესრიგს, ის ხდება მაშინ „საერთაშორისო სამართლის სუბიექტი". ეს არის დე ფაქტო მთავრობა ან სახელმწიფო. აქედან კი გამომდინარეობს იურიდული შედეგები. ესპანეთის სამოქალაქო ომში სახელმწიფო კი არ იბრძოდა აჯანყებულ ჯგუფთან, რომელიც ბარიკადირებული იყო მის ტერიტორიაზე, არამედ აქ გვქონდა ორი სახელმწიფო, რომელნიც ებრძოდა ერთმანეთს (Martín S., 2015, pp. 408-409).

ამდენად, ლეგიტიმაციის ფენომენი ზოგადად და კონკრეტულად 18 ივლისის აჯანყების გამართლება, ეს იყო პროცესი, რა დროსაც ფრანკოს რეჟიმი ცდილობდა საკუთარი ხელისუფლების რეალიზების უზრუნველყოფას, ხალხის ნდობის მოპოვებას და საერთაშორისო აღიარებას. ეს იყო სპეციფიკური ტექნოლოგია, რომელსაც უნდა დაელაგებინა შემდგომი ურთიერთობები როგორც რეჟიმსა და მოსახლეობას, ისე ესპანეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ლეგიტიმაცია არსებითად პოლიტიკური პროცესი იყო, მაგრამ იურიდიული გაფორმების აუცილებლობის ძალით ის ასევე სამართლებრივ პროცესს წარმოადგენდა. ამდენად, იურისტების საქმიანობას უდიდესი როლი ენიჭებოდა ამ პროცესში.

Zaal Gogenia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

18 July 1936 Coup d'État and the Attempts of Its Legitimization during the First Period of the Francoist Regime

Summary

The legitimization of 18 July 1936 coup d'etat was one of the most important tasks of Francoist lawyers.

They had to prove that the creation and existence of a Popular front government was illegal. They sought to justify the uprising as a legal act of "resistance" against tyrannical

authorities on the basis of various political and juridical ideas; to argue that based on the principles of administrative and military law the basic duty of the army was guarding the nation "under the attack of the government"; within the categories of criminal law, to give the qualification of "legal defence" (extreme necessity) to the "military uprising", which releases from the criminal responsibility.

In 1938 Franco's minister of internal affairs *Ramón Serrano Suñer*, signed an order establishing a commission tasked with approving the illegitimacy of the current Spanish government on July 18, 1936. The 23 members of the commission had to substantiate with "credible evidence" the thesis that "the rebellion was not an act against the government or against the law." The article discusses in detail the document which was elaborated by the Commission, so-called "Dictamen," according to which not only Popular Front's rise to power, but also the origins of the republic itself were illegal and the constitution was not a "fundamental statute of the country." There were also listed "crimes" committed by the government.

The "right of resistance" (ius resistendi) was one of the important argue for justifications of the coup. The activities of Sabino Alvarez Gendin (University of Oviedo) are distinguished in this direction. His arguments had a specific purpose – to justify the military uprising by legal and traditional principles, that is, the right of rebellion as a response on the oppress by tyrannical government, is a universal right and at the same time it is typical of the traditional nature of Spaniards. Based on various theories, Gendin argued that enslaved people have the legal right to rebel against the government, but there are three essential requirements: when all peaceful and legal measures are exhausted, when there is a high probability of success, and when the uprising is proportional measure. The first two requirements according of Gendin were clear, as for to the third, it was less proportional considering of results, but the victory of communism in Spain would have resulted in more terror than in the civil war. Thus, according to Gendin, the sacrifice was worth it. The statements of Ignacio de Lojendio (University of Seville) are also noteworthy in regard with the right of resistance. The difference between Gendin and Lojendio is in the source of inspiration. Lochendio's views fit in the frames of philosophy of history, while the question of government's legitimacy shifts to the background. The right to rebel according of him is not an ethical and moral obligation, but a natural act of necessity.

Isaiah Sanchez Tejerina (University of Salamanca) is a prominent author in justifying the uprising in terms of "legal defence." In his view, the national uprising was an example of

collective execution of legal defence (though it is an individual act by its nature). According to him, the uprising was at the same time proportional and necessary measure.

Another aspect of the justification of uprising was the issue of army's duty. According to lawyer *Jaime Masaveu*, the army should protect the nation, because it is a "natural social essence", while the state is a "political superfetation." In the case of a dilemma, a soldier defends the "nation" even if it means going against the state. So this postulate goes back to the argument of the illegitimacy of the Republican government.

In the field of international law the positions of Jose de Yanguas Messia and Pedro Cortina Mauri are interesting.

გამოყენებული ლიტერატურა:

Dictamen de la comisión sobre ilegitimidad de poderes actuantes en 18 de julio de 1936. (1939). Editora nacional, Madrid.

Apéndice I Al dictamen de la conisión sobre ilegitimidad de poderes actuantes en 18 de julio de 1936. (1939). Editora nacional, Madrid.

De Lojendio M. I. (1941). El derecho de revolución.// „Revista de Derecho privado", Madrid.

Martín S. (2015). Los juristas en la gènesis del franquismo ¿Un contraste posible? // *I giuristi e il fascino del regime (1918-1925.* TrE-Press, Roma. pp. 389-422

Masaveu J. (1942). La defensa nacional militar frente a un Esado anárquicamente revolucionario. // „Revista General de Legislación u Jurisprudencia", 172. Madrid

Molina J. (2005). El Derecho político en Ignacio María de Lojendio// „Empresas Políticas" Año IV · Número 6 pp. 49-69

Tejerina Sánchez I. (1940). Oracion Inaugural del curso de 1940 a 1941 en la Universidad de Salamanca.

Villarejo Jiménez C., (2010) Ilegitimidad franquista frente a legalidad republicana // Mientras Tanto, No. 114. pp. 73-93